ჰიბრიდული ომი უკრაინასა და საქართველოში. შედარებითი ანალიზი

მირიან ფხაკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ: ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე დაბეჭდილ, გამოსაქვეყნებლად მიუღებელ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის წარმოდგენილი, ან ციტირებულია სათანადო წესის შესაბამისად.

მირიან ფხაკაძე

23.01.2019

აბსტრაქტი

აკადემიურ წრეებში ჰიბრიდული ომის წარმოების კონცეფციის გაანალიზების აუცილებლობა შემდეგმა ფაქტორებმა წარმოშვა: რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, უკრაინის ტერიტორიის, ყირიმის მიერთება, დონბასსში სეპარისტისტული ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი მხარდაჭერა. სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი განიხილავს ჰიბრიდული ომის კონცეფციას და მის შემადგენელ ნაწილებს (ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ ოპერაციებს, კიბეროპერაციებს,ეკონმიკას ,დიპლომატიას,), ასევე იმას, თუ რატომ და რა მიზნებისთვის მიმართავს რუსეთი ამ ტაქტიკას. ნაშრომში აღებულია ჰიბრიდული ომის ორი უახლესი მაგალითი _ უკრაინა და საქართველო. ამ კონფლიქტების შესახებ კვლევები არსებობს დასავლეთშიც და საქართველოშიც, მაგრამ საკმაოდ ცოტა რამ არის დაწერილი ამ ორი კონფლიქტის შედარებით ანალიზზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია: ამ ორი კონფლიქტის განხილვა ჰიბრიდული ომის კონცეფციის პრიზმით მათი შედარებითი ანალიზი, მსგავსებებისა და განსხვავებების შეფასება, რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნების იდენტიფიცირება, რუსული ჰიბრიდული ომის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები:ჰიბრიდული ომი,უკრაინა,საქართველო,ყირიმი,კონფლიქტი,ანექსია.